

პროექტის განმარტება

პროექტი №№ VV-60/17 დამუშავდა 2017 წლის საინვესტიციო გეგმის თანახმად, რომელიც ეხება ქ. თბილისში ჩუღურეთის საქსელო რ-ის ტერიტორიაზე ც.გ.პ. №6025-დან გამომავალი მ/ძ-ის (6კვ.) მიწისქვეშა საკაბელო ქსელების ამორტიზებული მონაკვეთების შეცვლას ს/ჯ № 2000-ის (1—2) მიმართულებებზე.

გაითხაროს საკაბელო ტრანში პოზიცია №1-დან-დ. უზნაძის ქ-ის ტროტუარზე პოზიცია №2-მდე 2ც. კაბელისათვის, სამანქანო ასფალტირებული გზების გადაკვეთა შესრულდეს გვირაბული მეთოდით - „კროტის“ გამოყენებით. მიწისქვეშა კომუნიკაციების გადაკვეთაში ჩაიდოს სქელკედლიანი დამცავი მილი, რომელშიდაც შემდგომ გატარდეს სამონტაჟო კაბელი, მოეწყოს საკაბელო ბაღიში წვრილფრაქციური ქვიშით, ჩაიდოს კაბელი NA2XSEY2 (3\*240RM/25)mm2 კვეთის, მიეყაროს ქვიშა, დაეყაროს ქვიშა-ხრეში - დაიტკეპნოს, დაედოს სასიგნალო პოლიეთილენის ლენტი, დაეყაროს ქვიშა-ხრეში, ღორღი - დაიტკეპნოს და დაიგოს ასფალტი.

ც.გ.პ. №6025-ში გაითიშოს ზემოაღნიშნული მიმართულებების უჯრედები, დაედოს დამიწებები გამავალ დენგამტარ ნაწილებს, პოზიცია №1-ზე და №2-ზე ჩაიჭრას მოქმედი 2ც. მიწისქვეშა კაბელი, ახალ ჩადებულ და ძველ კაბელებს გაუკეთდეს განმხოლოებები და ერთმანეთზე გადაიბას შუალედური TRAJ 12/3x150-240 ქუროს საშუალებით.

ც.გ.პ. №6025-ში უჯრედების დენგამტარ ნაწილებზე მოიხსნას დამიწებები, აღდგენილი მიწისქვეშა კაბელების იზოლიაციის სიდიდეები შემოწმდეს მეგაომეტრის საშუალებით და მისი დასაშვებ ნორმებში არსებობის შემთხვევაში კაბელები ჩაყენებული იქნას ძაბვის ქვეშ.

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები შესრულდეს ПУЭ-ს და СНиП-ის ნორმების შესაბამისი პუნქტების დაცვით.

პროექტი № VV-60/17	
ფ.№	ფ.ნ.
2	5